საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება

პირადობის ელექტრონული მოწმობით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრების შესაძლებლობის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა

ცვლილების სახეობა: საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

კანონის პროექტის დასაბუთება: საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით განისაზღვრება იმ სამგზავრო დოკუმენტების ჩამონათვალი (საქართველოს პასპორტი, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა), რომლთაც საქართველოს მოქალაქე საქართველოდან დროებით გადის და საქართველოში შემოდის. ამასთან, მათ შორის არ გვხდება **პირადობის ელექტრონული მოწმობა**, რომელიც თავის მხრივ არ წარმოადგენს სამგზავრო დოკუმენტს (არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი[1]) და რიგ ქვეყნებში **(უკრაინა, სომხეთი)** პირდაპირი მგზავრობისას ასევე გამოიყენება სახელმწიფოთა საზღვრების კვეთისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მე-5 მუხლს მიზანშეწონილია დაემატოს პირველი პრიმა პუნქტი, რომლის შესაბამისად - ორმხრივი საერეთაშორისო შეთანხმებისა[2] თუ რიგი სახელმწოფოების შიდა კანონმდებლობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლად, საკანონდებლო დონეზე ასევე განისაზღვროს დადგენილი პირობებით

---

[1] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 27/07/2011 98 ბრძანებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია პირადობის მოწმობა

[2] იხილეთ დანართი (2.7. პუნქტი) შეთანხმებაზე საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის ვიზის მიღების ვალდებულებისგან ორმხრივად გათავისუფლების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/download/4500266/0/ge/pdf

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-9050/24
21.08.2024 ფურცელი 2

(პირადობის ელექრტონული მოწმობით - მხოლოდ პირდაპირი საერთაშორისო საჰაერო ან საზღვაო ტრანსპორტის საშუალებით უკრაინასთან, ხოლო სომხეთთან პირდაპირი საჰაერო ფრენის და სახმელეთო საზღვრის კვეთის დროს) საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის შესაძლებლობაა.

რეპლიკა: საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ[3].

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted] ელ. ფოსტა [redacted] მცხოვრები: [redacted]

21/08/2024





[3] ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.